საქართველოს კონტროლის პალატა

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

„30“ 04 2012 წელი

ეგზ.2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -„საზოგადოებრივი მაუწყებლის“
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 15/00

01.01.2010-01.01.2011

შინაარსი

შესავალი.....2

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის მდგომარეობა. 3

საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ხარჯების ჩამონათვალი: 3

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.....9

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან სახსრების გამოყოფის ხარჯვის მიზნობრიობა 15

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....17

შესავალი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 3 აგვისტოს №48/43, და 31 აგვისტოს N49/43 ბრძანებები.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელის“ იურიდიული მისამართი - საქართველო. 0171 ქ. თბილისი, კოსტავას N68 ტელ: (+995 32) 409 377; ფაქსი: (+995 32) 409 115 www.gpb.ge

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის მდგომარეობა.

სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრული ასიგნებები

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით საზოგადოებრივი მაუწყებლის 2010 წლის ასიგნებები განისაზღვრა 22,000.0 ათასი ლარით (მთლიანად საბიუჯეტო სახსრებით), საიდანაც ხარჯებმა შეადგინა – 18,000.0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდამ – 4,000.0 ათასი ლარი.

"საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში 2010 წლის 19 ნოემბერს შეტანილი ცვლილებით მაუწყებლის 2010 წლის ასიგნებები გაიზარდა 16,300.0 ათასი ლარით და შეადგინა 38,300.0 ათასი ლარი. ასიგნებების ზრდა, რომელიც განხორციელდა მთლიანად ხარჯების მუხლით, გამოწვეული იყო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაუწყებლისათვის გამოყოფილი თანხების წლიურ საბიუჯეტო კანონში ასახვით.

ქვემოთ მოცემულია ვალებულებებისა და გადახდების ცხრილი

ტიპი	თანხა
ვალდებულება	38,300.0
განხორციელებული მოთხოვნები	38,299.7
მათ შორის	
ხარჯები	34,045.2
არაფინანსური აქტივები	3,906.6
ვალდებულებები	347.9

საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ხარჯების ჩამონათვალი: 2010 წლის ხარჯების ანგარიში

ხარჯების ჩამონათვალი	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი
შრომის ანაზღაურება	7,816,704	7,816,704
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	3,453,661	3,453,660
მივლინებები	640,309	640,279
ოფისის ხარჯი	1,512,135	2,027,334
წარმომადგენლობითი ხარჯი	14,239	14,264
სამედიცინო ხარჯი	2,000	2,000
რბილი ინვენტარის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	8,559	785

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	573,446	492,849
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	19,965,276	19,471,330
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	3,562,777
პროცენტის ხარჯი	16,080	16,080
სოციალური უზრუნველყოფა	30,000	30,011
სხვა ხარჯები	12,794	12,487
სულ	**34,045,203**	**37,540,560**

ტექნიკური მოწყობილობების შესყიდვა

მაუწყებელსა და შპს „ინდენტ"-ს შორის 2010 წლის 16 თებერვალსა და 2010 წლის 1 აპრილს გაფორმებულია შესაბამისად 615.3 ათასი ლარის (ხელშეკრულება №22-1) და 652.2 ათასი ლარის (ხელშეკრულება №50-1) ღირებულების ხელშეკრულებები მაუწყებლობისათვის საჭირო ტექნიკის შესყიდვის თაობაზე. აღნიშნული შესყიდვები განხორციელებულია ტენდერის საშუალებით. ორივე ხელშეკრულების ფარგლებში მათი პირობების თანახმად მაუწყებელმა გაწია 100%-იანი ავანსი (1,267.5 ათასი ლარი).

სტრუქტურულ რეორგანიზებასთან და სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ არ არის დადგენილი შიდა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით გაწერილი და დამტკიცებული შესაბამისი შიდა ინსტრუქციები და პროცედურები, რომელიც ხელს შეუწყობდა მაუწყებლის მენეჯმენტს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში. აუდიტის პერიოდში ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებდა დახვეწას მისი ეფექტიანობისა და მოქნილობის კუთხით, აღნიშნულზე მეტყველებს ისიც, რომ მაუწყებელში უკანასკნელ წლებში ხშირად ხორციელდებოდა სტრუქტურული რეორგანიზაციები.

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და შპს „ჯი ემ სი ჯი"-ის შორის 2010 წლის 1 მარტს გაფორმდა 48.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება, მაუწყებელში ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების გაწევის თაობაზე. ხელშეკრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2010 წლის 1 ნოემბერი. კონტრაქტის თანახმად მომწოდებული ვალდებული იყო წარმოედგინა საბოლოო ანგარიში, რომელშიც მოყვანილი იქნებოდა შემუშავებული რჩევები შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშს უნდა მოეცვა 4 ქვეანგარიში (ეტაპი): ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრა, სტრატეგიული ალტერნატივების განსაზღვრა, ორგანიზაციული აუდიტის შედეგები და ორგანიზაციის სტრუქტურა. მაუწყებლის მიერ ხელშეკურლების თანახმად

ეტაპობრივად (3 ეტაპად: პირველი ეტაპი, 12.0 ათასი, მეორე ეტაპი 12.0 ათასი, ხოლო მესამე ეტაპი 16.0 ათასი ლარი) მოხდა თანხების გადარიცხვა ხოლო მ-4-ე ეტაპის ღირებულება 8.0 ათასი ლარის ანაზღაურება მოხდა ბარტერის წესით სარეკლამო დროის გამოყოფით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაწეული ხარჯის მიუხედავად, მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ შესაბამისად არ მომხდარა დაქირავებული კონსულტანტის მიერ (შპს „ჯი ემ სი ჯი"-ის) შესრულებული სამუშაოს გამოყენება, არ მომხდარა შესაბამისი დოკუმენტების შექმნა, მათი დამტკიცება და რეალიზება, გამომდინარე აქედან გაწეული 48.0 ათასი ლარის ხარჯი წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს. აღსანიშნავია, რომ შპს „ჯი ემ სი ჯის" მიერ ასევე არ მომხდარა შესრულებული სამუშაოს შედეგად საბოლოო შედეგის წარდგენა დამტკიცებული ფორმით, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით და მაუწყებლის მენეჯმენტისთვის გადაცემა.

ავტომანქანებით მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

2008 წლის 2 ოქტომბერს, მაუწყებელს და შპს „იბერია ავტო მარკეტ-ს" შორის გაფორმდა 3 წლიანი ხელშეკრულება (N179-24), რომლის თანახმად „იბერია ავტო მარკეტ"-ს, 18 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით, უნდა განეხორციელებინა დღეღამეში 24 საათიანი მომსახურება მაუწყებლის სამსახურებრივი საჭიროებისათვის. 2010 წლეს შპს „იბერია ავტო მარკეტის" მიერ გაწეულმა მომსახურების ღირებულებამ 197.7 ათასი ლარი შეადგინა

აღსანიშნავია, რომ „იბერია ავტო მარკეტის" მიერ, წინა წლების მსგავსად, სრულად არ ხორციელდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. სხვადასხვა დღეებში ნაცვლად ხელშეკრულებაში აღნიშნული 18 ერთეული ავტომობილისა, მომსახურება სრულდებოდა მხოლოდ მათი ნაწილით, რაც საბოლოო ანგარიშსწორებისას მაუწყებლის მენეჯმენტს არ გაუთვალისწინებია. შედეგად მაუწყებლის მხრიდან ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ 10.8 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა სრულად ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური სახის დარღვევებს ადგილი ჰქონდათ გასულ პერიოდშიც, 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე, როდესაც მაუწყებლის მხრიდან შპს „იბერია ავტო მარკეტზე" ზედმეტად გადახდილმა თანხამ 64.4 ათასი ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის მენეჯმენტმა 2010 წელს გადაწყვიტა გადაეხედა შპს „იბერია ავტო მარკეტთან“ დადებული ხელშეკრულებისთვის, და გადაწყდა ხელშეკრულების შეწყვეტა.

ჩანაცვლებული ავტომანქანების შეფასება

მაუწყებელმა, უკეთესი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ჩანაცვლების მიზნით, 2010 წლის 25 იანვარს, რენო ლოგანის ტიპის ავტომანქანის შესყიდვაზე (25 ერთეული) შპს „ავტო სტილთან“ გააფორმა 183.8 ათასი ევროს ღირებულების N6-3 ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მაუწყებელი იღებდა ვალდებულებას გადაეცა შპს „ავტო სტილისათვის“ მაუწყებლის ბალანსზე არსებული 25 ერთეული ავტომანქანა, რომლის საერთო ღირებულება (30.3 ათას ევრო) გამოიქვითებოდა კონტრაქტის მთლიან ღირებულებიდან. გამოქვითვის შემდეგ მაუწყებლის მიერ გადასახდელმა ფასმა 153.4 ათასი ევრო შეადგინა.

2010 წლის 11 იანვარს, მაუწყებლის მიერ გადასაცემი ავტომობილები შეაფასა და წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა შპს „იბერია ავტო მარკეტ“-მა, რომლის თანახმად შეფასება შეესაბამებოდა იმ პერიოდში შესაბამისი ავტომობილებისათვის არსებულ საბაზრო ფასებს, რომელიც მაუწყებელმა ასევე დასკვნის სახით დაადასტურა.

შპს „იბერია ავტო მარკეტი“-ს მიერ გაკეთებული დასკვნა (ავტოსატრანსპორტო საშუალებები დასკვნის თანახმად შეფასდა 30.3 ათასი ევროდ, რომელიც მაუწყებლის მენეჯმენტმა ვერ წარმოადგინა) ვერ იქნებოდა ობიექტური, რადგან ორივე კომპანიის მფლობელები (პარტნიორები) და ხელმძღვანელი პირი (დირექტორი) ერთი და იგივე პირები არიან. შესაბამისად, მოცემულ გარიგებაში შპს „იბერია ავტო მარკეტი“ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს, რითაც მაუწყებლის მხრიდან არ იყო დაცული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 24 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცებული წესი [1], რომლის მიხედვით გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალებების „საბაზრო ღირებულება დგინდება დამოუკიდებელი ექსპერტის ან აუდიტის დასკვნით.“

მივლინება

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში მაუწყებლის მიერ განხორციელებულმა სამივლინებო ხარჯებმა, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილში 640.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური შემოსავლების ნაწილში 718.3 ათასი ლარი

[1] საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 24 ნოემბრის №1-1/2688 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები

შეადგინა (სულ 1,358.6 ათასი ლარი). გასული პერიოდის მსგავსად, მაუწყებლის მიერ არ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტის მოთხოვნა დაქირავებულისათვის გადასახდელი სამივლინებო ხარჯების ნორმებთან დაკავშირებით[2].

სარეიტინგო ზღვრები

2010 წლის 23 მარტს მაუწყებელსა და შპს „დღე"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (N44–4), რომელიც ეხებოდა სატელევიზიო გადაცემის მომზადებას სოფლის მეურნეობის შესახებ (13 გადაცემა საერთო ღირებულებით 63,7 ათ. ლარი). ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე–4 პუნქტის თანახმად, მაუწყებელს გადაცემის რეიტინგის მინიმალური ზღვარი უნდა განესაზღვრა პირველი გადაცემის ეთერში გასვლიდან 3 თვის შემდეგ. თუ გადაცემის რეიტინგი ჩამოსცილდებოდა მინიმალურ ზღვარს, გადაცემის ღირებულება არ ანაზღაურდებოდა, ხოლო თუ გადაცემის რეიტინგი ზედიზედ სამჯერ ჩამოსცილდებოდა აღნიშნულ ზღვარს, კონტრაქტის მოქმედება უნდა შეწყვეტილიყო. მაუწყებლის მიერ მინიმალური სარეიტინგო ზღვარი დადგენილი არ ყოფილა, რის შედეგადაც შეუძლებელი იყო აღნიშნული გადაცემის ხარისხის კონტროლი და შესაბამისად მასზე გაწეული ხარჯის ეფექტიანობის შეფასება.

აღსანიშნავია რომ მაუწყებლის მენეჯმენტს არ აქვს ზოგადად პრაქტიკაში დანერგილი სხვა და სხვა გადაცემებზე სარეიტინგო მინიმალური ზღვრების დადგენა და მისი კონტროლი, რაც სატელევიზიო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ინვენტარიზაცია

მაუწყებლის მიერ, აუდიტის პერიოდში, ისევე როგორც გასულ პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი პირობის[3] მიუხედავად არ ჩატარებულა მაუწყებლის ქონების სავალდებულო წესით ინვენტარიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2010 წელს განხორციელებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით 2010 წლის 15 მარტს მაუწყებლის გენერალური დირექტორის N37 და

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება

[3] „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების" შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

N38 ბრძანებებით შეიქმნა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია, საბოლოო დასკვნა არცერთ შემთხვევაში არ მომზადებულა, რის შედეგადაც ძირითადი და მატერიალური აქტივების, აგრეთვე მაუწყებლის ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებათა რეალობებზე კონკრეტული დასკვნების გაცემა შეუძლებელია.

აღნიშნული მიზეზების გამო კვლავ ვერ დგინდება მაუწყებელში წლების წინათ გათავისუფლებულ მუშაკებზე, რიცხული 2 235,8 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მატერიალური აქტივების მდგომარეობა. რაც შეეხება მაუწყებლის ბალანსე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებს (რომელთა მდგომარეობა და ადგილმდებაროებაც დაუდგენელია) მაუწყებლის მხრიდან 2011 წლის 14 ივნისს გაიგზავნა წერილი „შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში" რითიც ითხოვა ყველა იმ მოძრავი სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაცია, რომელიც 1960 წლიდან მოყოლებული ირიცხებოდნენ მაუწყებლის სამართალმემკვიდრე ორგანიზაციებში, დადგინდა, რომ მაუწყებელს სულ ერიცხება 135 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომელთაგან 41 ექსპლუატაციაშია, რაც შეეხება „მომსახურების სააგენტოდან" მიღებული ინფორმაციის შედარებას არსებულთან, როგორც ახსნა-განმარტებიდან დგინდება, კომისიის გადაწყვეტილებით, ექსპერტების დახმარებით უნდა განხორციელებულიყო მათი სრულყოფილი ინვენტარიზაცია, შედეგად 2011 წლის 5 სექტემბერს გამოცხადდა ტენდერი ა/მ აუდიტორული (ექსპერტული) მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც საბოლოოდ უარყოფითი შედეგით დასრულდა.

ეთერში არ გაშვებული ფილმები

აუდიტის მსვლელობისას დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მაუწყებლის მიერ არარეზიდენტი კომპანიებიდან შეძენილი მხატვრული თუ ანიმაციური ფილმები ტელეეთერში საერთოდ არ გაშვებულა, ან გაშვებულ იქნა სალიცენზიო პერიოდის გასვლის შემდეგ.

2009 წლის 1 ივნისს, „Sony Pictures Television International-თან" დადებული 371.6 ათასი აშშ დოლარის ღირებულების N695-10 ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი 193 მხატვრული ფილმიდან, მაუწყებელმა ტელეეთერში არ გაუშვა 23 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი და 7 სერია, რის შედეგადაც, მაუწყებლის მიერ უყაირათოდ გაწეულმა ხარჯმა 27.3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

ამავე ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი ანიმაციური ფილმი - „სამურაი"-ს სერიების ნაწილი - 65 სერია, მაუწყებელმა, მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულებით

ამის განხორციელების უფლება არ ჰქონდა, ტელეეთერში გაუშვა სალიცენზიო პერიოდის გასვლის შემდეგ.

„Metro-Goldwyn-Mayer-თან“ 2008 წლის 10 ოქტომბერს დადებული N6178-7 ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი 59 მხატვრული ფილმიდან, მაუწყებლმა ასევე არ გაუშვა 5 მხატვრული ფილმი, ხოლო 4 მხატვრული ფილმი სალიცენზიო პერიოდის გასვლის შემდეგ გაუშვა. სულ, აღნიშნული ფილმების შესყიდვის ღირებულებამ და შესაბამისად გაწეულმა უყაირათო ხარჯმა 5,1 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

„Warner Bros. International Television Distribution Inc.-თან“ 2008 წლის 18 თებერვალს და ამავე წლის 24 ოქტომბერს დადებული N27-10 და N6194-3 ხელშეკრულებების ფარგლებში მაუწყებლის მიერ არ იქნა გაშვებული 5 მხატვრული ფილმი და სერიალი „Cold Cace-ის“ 6 სერია, ხოლო ექვსი მხატვრული ფილმი სალიცენზიო პერიოდის გასვლის შემდეგ გაუშვა. აღნიშნული ფილმების შესყიდვის ღირებულებამ და შესაბამისად არაეფექტიანმა ხარჯმა 12,6 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის დარღვევების შემთხვევები

„Sony Pictures Television International-თან“ და „SPORTFIVE International Sarl-თან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მაუწყებლის დავალიანება შესაბამისად 171.5 ათას აშშ დოლარს და 56.7 ათას ევროს შეადგენდა, რომელიც მაუწყებელმა 2010 წლის 16 აპრილს გაისტუმრა. ორივე შემთხვევაში ნაცვლად იმისა, რომ დავალიანება გასტუმრებულიყო „ვალდებულებების კლების“ მუხლიდან, ის გაიწია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან, რითაც დაირღვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები[4].

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

მაუწყებლის შემოსავლების წყაროს 2010 წელს, საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, წარმოადგენდა რეკლამიდან, იჯარიდან, სპონსორობის ღირებულებიდან, სპეციალური პროექტებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები.

[4] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 და 2004 წლის 15 მარტის №153 ბრძანებები

2010 წლის მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

შემოსავლისტიპები	31/12/2010
რეკლამა	3,253,041
საეთერო დროის გაქირავება	41,258
სპონსორობის ღირებულება	239,826
სიუჟეტის გადაწერა	11,066
იჯარა	726,190
გადაცემის მომზადება	30,695
სანქციები, ჯარიმები და საურავები	7,742
მიღებული პროცენტები	43,617
ძირითადი საშუალებების დაშლით მიღებული შემოსავლები	16,261
სპეციალური პროექტები	132,480
სხვა შემოსავლები	282,247
სულ	**4,784,423**

აუდიტის პერიოდში, მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ არ მომხდარა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაგეგმვა და არ დამტკიცებულა მაუწყებლის ბიუჯეტი შემოსავლების კუთხით (არ იქნა დაცული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები[5],), რაც ეკონომიკური საქმიანობის კუთხით მენეჯმენტის ეფექტიანობას რისკის ქვეშ აყენებს.

ქვემოთ მოცემულია 2010 წლის შემოსავლების დიაგრამა



[5] ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი.

რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები

2008 წლის 19 დეკემბერს მაუწყებელსა და შპს ,,მედია ჰაუსს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურების გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებაზე ორწლიანი ვადით. ხელშეკრულების N1 დანართის თანახმად მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში შპს ,,მედია ჰაუსი" ადგენდა რეკლამის დამკვეთის სარეკლამო განთავსების პირობებს რეკლამის დამკვეთთან, ან მის მომსახურე სარეკლამო სააგენტოსთან შეთანხმებით.

ხელშეკრულების პირობის თანახმად, სააგენტო ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, მაუწყებელს წარუდგენდა სარეკლამო მომსახურების ფასდაკლებების სისტემის ანგარიშს, თუმცა წარმოდგენილ ანგარიშებში არ არის მითითებული თუ რა კრიტერიუმებით ხდებოდა შპს ,,მედია ჰაუსსა" და სარეკლამო სააგენტოს შორის გაფორმებული სტანდარტული და სპეციალური ფასდაკლებების გაანგარიშება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ისევე როგორც 2009 წელს, 2010 წლის განმავლობაშიც შეუძლებელი იყო მაუწყებლის მხრიდან, რაიმე ფორმით შპს ,,მედია ჰაუს"-ის მიერ განხორციელებული ფასდაკლებების კონტროლი და ზედამხედველობა, შესაბამისად რეალურად მისაღები შემოსავლების ნაკლები ოდენობით მიღების რისკი კვლავ არსებობდა, რაც შპს ,,მედია ჰაუს"-თან დადებული ხელშეკრულების არაეფექტიანობის რისკს იწვევდა. ამასთან აუდიტის პერიოდში მაუწყებლის მხრიდან აღნიშნული რისკის შესამცირებლად არანაირი ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

შპს „კიკალა სტუდიო-TV"-ი

აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ მაუწყებლის ადმინისტრაციული შენობის ფიზიკური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შპს „კიკალა სტუდიო-TV"-ი, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის აგვისტოს თვიდან 2011 წლის სექტემბრამდე, მაუწყებელის ადმინისტრაციული შენობის მე-3 კორპუსის მე-2 სართულზე არსებული 68 კვ.მ საოფისე ფართით სარგებლობს, მაუწყებელს საიჯარო ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული, რის შედეგადაც მაუწყებელმა ვერ მიიღო 10.5 (თანხა დათვლილია მაუწყებლის ადმინისტრაციული აქტის [6] მიხედვით) ათასი ლარის შემოსავალი.

[6] მაუწყებლის 2006 წლის 20 დეკემბრის N209 ბრძანებით ,,საიჯარო ფართის კატეგორიების და ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით)

გარდა საიჯარო ქირის გადაუხდელობისა, აღნიშნულ ფართზე არ არის განხორციელებული გამხოლოება, რის შედეგადაც შპს „კიკალა სტუდიო-TV-ის“ მიერ ნახსენებ პერიოდში მოხმარებული ელ-ენერგიის და სხვა კომუნალური გადასახადები ანაზღაურებულია მაუწყებლის მიერ, რომელიც მაუწყებლის მხირდან ზედმეტად გაწეულ ფულად დანახარჯებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გარდა შპს „კიკალა სტუდიო-TV“-ი ყველა მოიჯარე დარეგისტრირებულია როგორც „თელასში“, ასევე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“.

ავტო სერვის ცენტრის იჯარა

2007 წლის 3 ოქტომბერს მაუწყებელსა და შპს „ავტოსერვისცენტრ+“-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება 450კვ.მ საიჯარო ფართის სარგებლობაზე. 2008 წლის 18 თებერვალს, წერილობითი შეთანხმებით მოიჯარეს დამატებით გადაეცა 1122 კვ.მ იგივე კატეგორიის ფართი და გაცემულმა საერთო ფართმა 1572 კვ.მ შეადგინა. აუდიტის პერიოდში აღნიშნული მოცულობის ფართით შპს „ავტოსერვისცენტრ+“-მა 2010 წლის აგვისტომდე ისარგებლა. მაუწყებელს აღნიშნული ფართი, წინა წლების მსგავსად, გაქირავებული ჰქონდა მაუწყებლის ადმინისტრაციული აქტით [7] დადგენილ საიჯარო ტარიფზე დაბალ ფასად, რის შედეგადაც აუდიტის პერიოდში (2010 წელი) მაუწყებელმა ჯამში ვერ მიიღო 60.0 ათასი ლარის შემოსავალი.

2010 წლის 29 ივლისს მაუწყებელსა და შპს „ავტოსერვისცენტრ+“-ს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის შედეგადაც ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები და გასაქირავებელი ფართის მოცულობა განისაზღვრა 301 კვ.მ-ით, ხოლო ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობამ მაუწყებლის ადმინისტრაციული აქტით დადგენილ საიჯარო ტარიფის შესაბამისად 2.6 ათასი ლარი (1 კვ.მ - 8.5 ლარი) შეადგინა.

შპს „თბს-ტვ“

2008 წლის 11 თებერვალს შპს „თბს-ტვ-სა“ და მაუწყებელს შორის გაფორმდა N22-2 ხელშეკრულება 408 კვ-მ საოფისე და 291 კვ-მ დამხმარე ფართის სამი წლის ვადით იჯარით გადაცემაზე. ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენდა

[7] მაუწყებლის 2006 წლის 20 დეკემბრის N209 ბრძანებით ,,საიჯარო ფართის კატეგორიების და ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით)

4,3 ათ. აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. 2009 წლის 1 მაისს აღნიშნულ მხარეებს შორის კვლავ გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება N76-4 ერთი წლის ვადით, რომლის თანახმად მაუწყებელმა შპს „თბს-ტვ"-ის გადასცა საერთო ჯამში 312 კვ-მ საოფისე ფართი თვეში 3.7 ათ ლარად.

იმის გათვალისწინებით, რომ „თბს-ტვ"-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა სისტემური ხასიათის ვადაგადაცილებებს თანხის გადახდასთან დაკავშირებით, 2009 წლის 23 ივნისს, აღნიშნულ ორივე კონტრაქტზე სათითაოდ მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება საიჯარო ქირის დავალიანების დაფარვის თაობაზე. ორივე შემთხვევაში მაუწყებლის მხრიდან მოხდა არსებული დავალიანებების თანაბრად გადანაწილება ექვს თვეზე, ხოლო აღნიშნული შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, მაუწყებელი უფლებამოსილი იყო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრებინა საურავი, გადასახდელი თანხის 10%-ის ოდენობით.

2009 წლის 1 დეკემბერს მხარეებს შორის კვლავ გაფორმდა შეთანხმება (დავალიანების დაფარვის თაობაზე), შეთანხმებაში ნახსენებია, რომ „თბს-ტვ"-ის მაუწყებლის მიმართ N22-2 და N76-4 ხელშეკრულებების ფარგლებში ერიცხებოდა დავალიანება 1,004 ათას ლარის ოდენობით, აქედან 172.3 ათასი ლარი წარმოადგენდა ძირ თანხას, ხოლო 830.1 ათასი ლარი შეთანხმებით დარიცხულ პირგასამტეხლოს თანხას, რომლესაც შპს „თბს-ტვ" თვლიდა სადაოდ და მისი შემცირების მოთხოვნით აპირებდა სასამართლოში სარჩელის შეტანას.

2010 წლის 12 იანვარს შპს „თბს-ტვ"-იმ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, მაუწყებლის მიმართ პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით. 2010 წლის 17 მარტს (სასამართლო საქმის არსებით განხილვას დაწყებამდე) სასამართლოს მიმართეს მხარეებმა და წარადგინეს მორიგების აქტი, შედეგად მხარეთა შორის მიმდინარე დავა დასრულდა მორიგებით, შესაბამისად 2010 წლის 19 მარტს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიღო განჩინება, მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მხარეთა შორის გაფორმებული მორიგების აქტით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს 10%-დან 0.1 %-მდე შემცირებაზე.

მორიგების აქტის გაფორმებისას არ არის გათვალისწინებული და დაცული „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები[8], რომლის მიხედვითაც აღნიშნული მორიგების აქტის გაფორმებაზე თანხმობა უნდა მიეცა „სამეურვეო საბჭო"-ს.

ასევე, უნდა ითქვას რომ მხარეებს შორის ხელმოწერილი მორიგების აქტი, თავისი ბუნებით შეუძლებელია ჩაითვალოს მორიგებად, ვინაიდან იგი მხოლოდ ერთი მხარის (ამ შემთხვევაში „თბს-ტვ"-ის) ინტერესის გამტარებელია და მისი

[8] არ არის დაცული „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნა

შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია რაიმე ფორმის კონსესუსზე საუბარი. რეალურად, მაუწყებელი დათანხმდა „თბს-ტვ“-ის პირობებს ისე, რომ თვითონ სანაცვლოდ არაფერი შეუთავაზებია და ეს მაშინ, როდესაც „თბს-ტვ“-ის მაუწყებლის მიმართ (გარდა საიჯარო ფართით სარგებლობის დავალიანებისა) ამ პერიოდისთვის გააჩნდა 102.3 ათასი ლარის დავალიანება.

მაუწყებლის მიერ დაფინანსებული პროექტებიდან მისაღები შემოსავლები

2009 წლის 21 იანვარს მაუწყებელსა და შპს „სინეგრუპ“-ს შორის გაფორმდა 118.0 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შპს „სინეგრუპის“ საკუთრებაში არსებული, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, გამოყენების განსაკუთრებული უფლების ნაწილის სასყიდლიან გადაცემას მაუწყებლის საკუთრებაში. მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული უფლების 70% დარჩებოდა შპს „სინეგრუპს“, ხოლო 30% მაუწყებელს.

ასევე 2009 წლის 23 აპრილს მაუწყებელსა და შპს „დამოუკიდებელ კინოპროექტს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ღირებულებით 194.7 ათასი ლარზე, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების - მხატვრული ფილმი „ჩეკის“ გამოყენების განსაკუთრებული უფლების ნაწილის, სასყიდლიანი გადაცემა მხარეთა საკუთრებაში. აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი მხარეთა შორის (86% დამოუკიდებელ კინოპროექტს, 14% მაუწყებელს) უნდა განაწილებულიყო.

2010 წლის განმავლობაში მაუწყებელს შპს „სინეგრუპი“-სგან თანხა არ მიუღია. 2009 წლის 2 აპრილიდან 8 აპრილამდე კინოთეატრებში (ამირანი და რუსთაველი) კინოფილმის ჩვენებიდან შემოსულმა თანხამ მთლიანობაში 36 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან შპს „სინეგრუპ“-ის წილი 65%-ს (23.4 ათასი ლარი) ხოლო მაუწყებლის წილი 30%-ს (7.0 ათასი ლარი) შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ კინოთეატრის მხრიდან იყო შეტყობინება, რომ აღნიშნული ფილმი საჭიროებდა ხმის და ფერის კორექციას, რის აღმოსაფხვრელადაც შპს „სინეგრუპმა“ გადაიხადა 24.5 ათასი ლარი.

2010 წლის 1 ივლისის შეთანხმებით, მაუწყებლის მხრიდან აღნიშნულ პროექტში უკვე განხორციელებული სოლიდური დაფინანსების მიუხედავად, იგი დაეთანხმა კუთვნილი მისაღები შემოსავლის გამოყენებას ფილმში ხარვეზის აღმოსაფხვრელად და კუთვნილი 7.0 ათასი ლარით მიიღო თანამონაწილეობა, რომელიც ზედმეტად გაწეულ ხარჯს წარმოადგენს.

რაც შეეხება შპს „დამოუკიდებელ კინოპროექტთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას, მაუწყებლის მხრიდან არაერთი წერილობითი მიმართვის მიუხედავად თანხის გადარიცხვა მუდამ ჭიანურდებოდა, რასაც შპს „დამოუკიდებელ კინოპროექტის“ წარმომადგენლები დროებითი ფინანსური პრობლემების არსებობით ხსნიდნენ.

მაუწყებლისთვის თანხის გადარიცხვა და შესაბამისი ხელშეკრულებებისა და ფინანსური ანგარიშის მიწოდება, რის საფუძველზეც ფილმის ჩვენება ხდებოდა, მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდა, რაც მაუწყებლისთვის ცნობილი გახდა, ფილმის რუსული ტელეკომპანი “НТВ”-ს ეთერში გასვლის შესახებ და ამის შემდეგ მოხდა შპს „დამოუკიდებელ კინოპროექტის“ მიერ 10.4 ათასი ლარის გადარიცხვა მაუწყებლის ანგარიშზე, რაც გაქირავების და ასევევ რუსულ ტელეარხებზე ფილმის გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს.

აუდიტის პერიოდში მაუწყებელს, აღნიშნული პროექტებზე გაწეულ დაფინანსებასთან შედარებით მიღებული აქვს უმნიშვნელო შემოსავალი, უკუგების მარჟა იყო მეტად მცირე, რის შედეგადაც ამ პროექტებზე მაუწყებლის მხრიდან გაწეული ხარჯი წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს. აღსანიშნავია, რომ როგორც კონტროლის პალატის წინა აუდიტის შედეგად გაირკვა, ფილმების შეძენაზე კონტრაქტები გაფორმებული იყო ყოველგვარი წინასწარი ფინანსური ანალიზის გარეშე, რაც იმ პერიოდში სუსტი ფინანსური მართვის შედეგს წარმოადგენს და რამაც გამოიწვია თანხების არაეფექტიანი ხარჯვა.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან სახსრების გამოყოფის ხარჯვის მიზნობრიობა

საანგარიშო პერიოდში, მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, საზოგადოებრივ მაუწყებელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სულ გამოეყო 16,300.0 ათასი ლარი.

მოცემულია სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი აღნიშნული თანხის გახარჯვის მიზნობრიობის ცხრილი (ათას ლარებში):

ხარჯების ჩამონათვალი	თანხა
მესამე არხის ფუნქციონირება	13,300. 0
ევროვიზიის ხარჯები	1,818. 0
არჩევნებთან დაკავშირებული კვლევები	169. 0
სატელიტური მომსახურების ღირებულება	312. 0
დამოუკიდებელი ექსპერტის (KPMG) მომსახურება	321. 0
სხვა	381. 0
სულ	16,300. 0

აღსანიშნავია საქართველოს ევროვიზიის კონკურსში მონაწილეობასთვის გაწეული ხარჯები (1,818.1 ათასი ლარი), საიდანაც 29.5 ათასი ლარი გადაერიცხა ევროპის მაუწყებელთა კავშირს (EBU), 125.0 ათასი ლარით დაფინანსდა მივლინების ხარჯები, ხოლო 1,663.6 ათასი ლარი გაიხარჯა ღონისძიებების ორგანიზების, პიარისა და ლობინგის მომსახურებაზე.

საზოგადოებრივ მაუწყებელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ასევე ჯამურად გამოეყო მესამე არხის (პირველი კავკასიური) ფუნქციონირებისათვის 13,300.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა გადაერიცხა შპს "ქეი-1"-ს 2010 წლის 15 ივლისს მაუწყებელსა და შპს "ქეი-1"-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მესამე არხი მართვის უფლებით გადაეცა შპს "ქეი-1"-ს.

აღსანიშნავია, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 13,300.0 ათასი ლარიდან, 385.5 ათასი ლარი მაუწყებლმა გახარჯა საკუთარი შეხედულებისამებრ, მისი პირველადი მიზნობრიობის გაუთვალისწინებლად (მესამე არხის ფუნქციონირებისათვის). ხოლო 784,0 ათ ლარის გამოყენება დაკავშირებულია მესამე არხის ფუნქციონირებასთან.

არამიზნობრივად გახარჯული თანხების ცხრილი (ათას ლარებში)

ხარჯების ჩამონათვალი	თანხა
ჩართვების განხორციელება	330.0
საფეხბურთო მატჩების ჩვენების უფლება და ტექნიკური მხარდაჭერა	55.5
სულ	**385.5**

მესამე არხის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები

ხარჯების ჩამონათვალი	თანხა
საადვოკატო ფირმა "არმანიაკ და სტეინერი"	156.0
ტულიქსი (ინტერნეტ მაუწყებლობა&ვებ ჰოსტინგი	68.0
"გლობკასტ" სატელიტით მომსახურება	560.0
სულ	**784.0**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზედამხედველი აუდიტორი

კახაბერ სონიშვილი

აუდიტორი

ირაკლი გოდუაძე